

ბავშვების  
საბავშვო

# ბავშვები



1927



## ამოცანა წუმწუმებზე



I

I ხუთი წუმწუმის გადანაცვლებით უნდა გამოგივიდესთ ორა კვადრატი.



II

II ორა წუმწუმის გადანაცვლებით უნდა გამოგივიდესთ ხუთი თანასწორი კვადრატი.



III

III ოთხი წუმწუმის გადანაცვლებით უნდა გამოგივიდესთ სამი თანასწორი კვადრატი.

ხუთი წუმწუმიდან როგორ უნდა გამოგივიდესთ რვა?

ეს შვადკუთხედი შესდგება 8 წუმწუმისაგან და სამი წუმწუმის გადაწყობით უნდა გამოგივიდესთ როშპი.



ჩანი

### შ ი ნ ა ა რ ს ი:

1. სურათი
2. როგორ ჩავატარეთ ოქტომბრის ზეინი — დამაწერე . . . . . 2
3. სიხარული — ლექსი — ე. პოლუმორდუ ნავის . . . . . 5
4. მოულოდნელი თოვლი — ნ. კეზოველის . . . . . 6
5. პიონერთა მარში — ლექსი — კრახელის . . . . . 14
6. საქართ. პიონერ-ორგანიზაციის არსებობის 5 წელი — შაჩის . . . . . 16
7. როცა პირველად — ლექსი — კ. ლორთქიფანიძის . . . . . 18
8. წეგობრები — არჩილ ჩაჩიბაძის . . . . . 19
9. ზამთარი მოდის — თარგმანი ნინოსი . . . . . 27
10. გამოფენაზე — ე. ვურულის . . . . . 29
11. ბავშვთა შემოქმედება: 1. მკედელი ვარ — გიორგი შარუმაშვილის, 2. ათი წლის თავზე — შუშანა მგულაძის . . . . .
12. ამოცანა წუმწუმებზე — მანას და რეზუსი — ყდაზე.

# საბავშვო

მე-XXIII წ. | № 11 | ნოემბერი | 1927 წ.

განათლების სახალხო კომისარიატის სოც. აღზრდის მთავარმართველობის და  
საქ. ა. ლ. კომკავშ. ცენტრ. კომიტ. უფრნალი ბავშვებისათვის.

F 1929



საქ. საბავშვო  
საქართველოს  
საბჭოთაო  
კომუნისტური  
პარტია  
საქართველოს  
საბჭოთაო  
კომუნისტური  
პარტია  
საქართველოს  
საბჭოთაო  
კომუნისტური  
პარტია

სოფ. წილენის პიონერები ოქტომბრის რევოლუციის 10 წლის თავის ზეიმზე.

## როგორ ჩავატარეთ ოქტომბრის ზეიმი.

ჩვენს ქუჩის წინა ნაპირებში ჩვენ მიერ აღნიშნულ  
იქნა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ოქტომბრის დიდი რე-  
ვოლუციის ათი წლის თავს, თუ რა მისწვევები გვაქვს ამ  
ათი წლის თავზე და სხვ.

ჩვენ აღვნიშნეთ, რომ ამ ათი წლის წინათ უკულტურო,  
გაბიჟურების და მშრომელი ხალხის (მუშების და გლეხების)  
მუკლუფელების რესუთი, კერძოდ საქართველოც, გადაიქცა თა-  
ვისუფალი მშრომელების თავისუფალი შრომის საბჭოთა სო-  
ციალისტურ რესპუბლიკად.



ოქტომბრის ზეიმი.

აღვნიშნეთ აგრეთვე, რომ მუშის და მდიდრების, კემბუ-  
ლეების ბატონობის დროს მშრომელი ბავში, მუშების და  
გლეხობის ბავში, უფლებაურთილი იყო და არა ჰქონდა სა-  
შუალება სწავლის, თვითმოქმედების და სხვა, იმ დროს, რო-  
დესაც მუქთანორა მდიდრების უნიჭო შვილები ტყუილ-კობრა-  
ლოდ იჭერდნ სკოლის სკამებს, დიდს ფუფუნებაში იყვნენ და სხვ.

დღეს ეს სისაძაველი ისტორიის სანაკვესი ჩაბარდა. ოქტომბრის დიდმა რევოლუციამ მიწ-ბუდინანად მოსწო არსებული უსამართლობა, მდიდრების მშრომელებზე ბატონობა და მოზრდილ მშრომელ მოსახლეობასთან ერთად შუშების და კლესების შვილებსაც კმა გაუკვლია ადამიანური ცხოვრებისაკენ: მშრომელთა შვილებს მიეცათ საშუალება უფასოდ სწავლის მიღების და თვითმომქმედების გამოჩენის, ორგანიზაციული შეკავშირების (ზიონერ-ორგანიზაცია), ცხოვრებაში პრაქტიკული შემადების და სხვ.

ეველა ამის შემდეგ ცხადია, თუ როგორი ზეიმით შესვლებოდა ჩვენი საბჭოთა კავშირის მშრომელი მოსახლეობა, — დაწვეული მოზრდილებით და გათავებული პატარა ბავშვებით, — ოქტომბრის რევოლუციის ათი წლის თავს.

ჯერ კიდევ 5 ნოემბრიდან დაიწყო საოქტომბრო ზეიმი. 6 ნოემბერს საბჭოთა კავშირის ეველა ქალაქში, დაბებში და სოფლებშიც კი სიმღერებით და წითელი დროშებით გამოვიდნენ ქუჩებზე დარბაზული ზიონერ-ორგანიზაციები, სკოლის ბავშვები და მხიარულად ჩაიარეს ქუჩები.

7 ნოემბერს, ოქტომბრის რევოლუციის დღეს, მთელი ქუჩები მოიფინა უსარმაზარი დემონსტრაციებით, რომელთაც წინ მიუძღოდა დროშები და ზღაპრები შემდეგი ლოზუნგებით:

„გაუმარჯოს ოქტომბრის დიდ რევოლუციას“.

„გაუმარჯოს საერთაშორისო ოქტომბერს“.

„გაუმარჯოს ოქტომბრის რევოლუციის სელმძღვანელს — კომუნისტურ პარტიას“.

„გაუმარჯოს ოქტომბრის რევოლუციის და მის მონაპოვართა საიმედო დარაჯს — შუშურ-კლესურ სახელოვან წითელ არმიას“.

მთელი მშრომელი მოსახლეობა ქუჩებზე იყო გამოყვანილი და აღფრთოვანებული შესცქეროდა ოქტომბრის უდიდეს ზეიმს.

ვანდა ამისა, ოქტომბრის ათი წლის თავსე მთელი საბჭოთა კავშირის თვალგადუწვდენელ მიწაწვალზე მოწუობილ იქნა მრავალი სკოლა, საბავშვო ბაღი და სხვა, ამენდა მრავალი ფაბრიკა-ქარხანა, ვაჟებნილ იქნა არხები, გაისსნა კოლმურტიუები და სსუ.

ოქტომბრის ზეიმი საქმიანი მუშაობით აღვნიშნეთ და ამით გავაძლიერეთ ჩვენი ქვეყნის და ოქტომბრის მონაპოვართა ნივთიერი უნარბანობა, სოციალისმის მშენებლობას მივუმატეთ რამოდენიმე მნიშვნელოვანი აკური.

დამსწრე.



პიონერები ოქტომბრის რევოლუციის დღეს. დემონსტრაციის დაწყება. უფლაზე წინ მოდიან პიონერები.

## ს ი ხ ა რ უ ლ ი.

მიძგერს გული ჰატარა,  
როგორც კრძნობის კაცონი,  
თანაც ასე შკონია,  
ქვეყანა შემოძინის!...

მიხარია, დიდილში  
ვაფერადებ სახეს, თვალს  
და შხესაც კი ვუბნავნი  
აღტაცების ნაღვერდალს.

ეველა მინდა დავეცნო,  
ეველას გავეხმეურო,  
ვუთხრა: „ათი წლისა ვარ“,  
და ასე ვემცნაურო,

რომ გაჰნდი მე იმ დროში,  
როცა სალსი დელავდა,  
და ძტარვალთა გვირგვინებს  
ბრანითა ფხქვემ სთელავდა;

იწუებოდა ახალი  
ქვეყნის აღორძინება,  
ინაობოდა მშრომელთა  
ცრემლებისა დინება.

შომილოცეთ მე ეს დღე,  
დღე ხემ დაბადებისა,  
და მილოცვა იქნება  
ბავშვითა ახალ წუებისა.

# გოშლოდნელი თოვლი.

1.

სამჯერ ჩავიდა მზე მას შემდეგ, რაც გორგას ცხვარი ბინაზე არ ჩაურეკია, სამი დღეა, რაც გიგია და ალექსი არ უნახავს, თავისი ტოლი ბიჭები. გიგია ქედისს ამოვებს, ალექსი კი ბატანს, გორგას გამშრალი ცხვარი ჰყავს, აღარ წველიან და ამიტომ ბინისკენ აღარ მიერეკება. განა მეცხვარისათვის ყველგან ბინა არ არის?



გორგა ამოვებს ცხვარს

აი, ახლაც უკანასკნელი სხივები დაეცა მთის მწვერვალებს და გორგამაც თავისი ასი სული ცხვარი ააყოლა სერ-სერ. სერის წვერზე პატარა მოვაკებული ადგილია და ცხვარს იქ დაბინავებს, თვითონ ნაბადს მოიხურავს და მიჯდება განზე; თუ მიწყნარდა ირგვლივ, თუ ნადირი არ მოუახლოვდა, ერთ პირსაც წაიძინებს, მაგრამ თუ მგელი გამოჩნდა საითმე, ან სხვარამ ნადირი, მთელი ღამე თვალდია უნდა გაატაროს, ხმა უნდა მისცეს ხოლმე, რომ აგრძნობინოს, აქა ვარ, ახლო ვერ მომიხვალო. თუმცა ამ დროს მისი ერთგული ძაღლი ქურუხაც არ მოისვენებს და ყეფით გამოაყრუებს მთის ჭიუხებს.

— რაი ნისლეები ჩამოწვა ტიალი, — თითქმის ხმამაღლა სთქვა გორგამ, რომ დაინახა დიკლოს მთა და მთელი ვაღმა მხარე ნისლეებში გახვეული. ერთი კვირაც და მერე კახეთისკენ უნდა გაირეკოს ცხვარი, — ფიქრობდა გორგა.



გაღმა მხარიდან ნისლები გამოღმაც გამოვიდნენ და აავსეს ხევები, ნელ-ნელ ზევით მიიწევდნენ, დინჯად და აუჩქარებლად, გორგა კი მალლიდან დასცქეროდა და ყურს უგდებდა იქ, ძირს, ხევში როგორ ბობოქრობდა და ღრიალებდა სამყურის წყალი; ვიწრო იყო მისთვის ეს ხეობა და ცდილობდა მალე გაერღვია და მალე ჩასულიყო თუშეთის ალაზანში, კავკასიონის პირიქით. ეს მდინარე გორგას სოფელს, ვესტმას, გვერდით ჩაუვლიდა, თითქმის მათი სახლის წინ გაივლიდა.

ცა ჩამოიღრუბლა. ნისლებმა გაჰხვია ჩამობნელებული ხევებიც. ხანდახან ცივი ნიავიც დაუბერავდა.

ცხვარი შეაქუჩა, წამოურბინა, თვალი გადაავლო, ყველა იქ იყო. გორგას ერთი თვალის გადავლებით შეეძლო გაეგო, იქ იყო თუ არა მისი ცხვარი უკლებლივ. მაშ რილას მწყემსი იქნებოდა, ეს უნარიც რომ არ ჰქონოდა!..

ნისლები შესველდა და წამოვიდა წვრილი, მეტად წვრილი წვიმა.

— შემოდგომაა, შემოდგომა, ნამდვილ, — ჰფიქრობდა გორგა და იმართავდა ტანზე ნაბადს. მეტად ცივი იყო ეს წვიმა, თითქმის თოვლად ქცეული, და აკი ცაც წვიმაში თოვლს გაურევდა ხოლმე და თითქოს იმიტომ, რომ პატარა მწყემსმა გორგამ არ მოიწყინისო.

— რა ტიალი ღამე დგება! ახლა უნდა სიფხიზლე, ნადირმა იცის წამოტანება ამ დროს, — ფიქრობდა გორგა და ჯერ ისევ ფეხდაფეხ უვლიდა ცხვარს, რომელიც სიცივის გამო ზანტად იცოხნებოდა... წვიმა კი თოვლად იქცა და იბარდნებოდა ნელ-ნელა... ღამის წყვილიადში წვეთები ნელ-ნელი შრიალით ჩამოდიოდნენ და ეცემოდნენ მიწაზე.

მიყუჩდა თითქმის ყოველივე, სამყურის ხევიდანაც კი არ მოისმოდა გრგვინვა-ქუხილი, თითქოს მდინარესაც კი მიეძინა. მხოლოდ გორგა და ცივი ნიავი იყვნენ ფხიზლად. უცბად ქურუხა წამოვარდა ზეზე და მორთო წკმუტუნე, ხან გორგასთან მივიდოდა და ხან დასცილდებოდა... მიხვდა გორგა, რომ ნადირი იყო ახლო.

— ჰაჰაუ, ქურუხ, ჰაუ! — დასწყვილა და მისი კივილი მოედო მთებს, ხევებს. დიდხანს დაგნებებოდა მთებში ეს კივილი...

ძალღმაც იგრძნო ძალა, პატრონის სიახლოვე, და ყვეფით გადავარდა სიბნელეში. ისე ისმოდა მისი ხმა; თითქოს ცა რუხ-რუხებსო.

წამოვიდა თოვლი და დაიწყო ნადირმაც გამოწევა...  
—ჰაუუუ!..— გასძახა კიდევ, ერთი ორჯერ დაიყვია ქურუხამაც,  
და კვლავ ჩამოწვა სიხუმე...

ჩამობნელებული ცა განუწყვეტილვ ჰგზავნიდა დედამიწის-  
კენ თეთრ პებელებს, გორგა კი ნაბადწამოსხმული გაიყურე-  
ბოდა სიბნელეში.



გორგა ნახევია ნაბადში და უღარაჯებდა ცხვარს.

2.

ნადირმა არ მოასვენა, გორგამ ერთხელაც კი ვერ წასთ-  
ვლიმა: ძალიან იწვედა ცხვრისაკენ. მისი ქურუხაც ტრიალებ-  
და, რაც შეიძლებოდა, მაგრამ ერთხელ ფარა კინალამ დაუფრ-  
თხა კიდევ. მეტად მშიერია ეს მგელი, ასე რომ მოიწვეს,  
იქნებ ერთიც არ არის და რამოდენიმეა? კიდევ ამისათვის არ  
ეპუება.

ამ თოვლმა რაღა გააწყალა გული, ასე უცბად რომ ჩა  
მოაზამთრა?

ჯერ ხომ ბალახი ისევ მწვანეა, ყვავილნიც ისევ ლამაზად  
იჭყიტებიან, არც ხეს გასცვენია ფოთოლი.

მაგრამ ეჰ, ესეც მთის თვისებაა: რომ გგონია შუა ზაფხუ-  
ლიაო, უცბად წამოვა თოვლი და მთას უცბად ჩამოაბერებს,  
ჩამოათეთრებს...

ამ ფიქრში იყო, როდესაც ქურუხა გადავარდა სიბნელეში საშინელი ყფით... ვერც კი მოასწრო გამოხმაურება, რომ მოესმა ღრენა, წკმუტუნი და ბურგნობა. ძაღლი შეება ნადირს.

— ჰაუ, ქურუხა, რა ძაღლი ხარ, შენი ქირიმე!— გაიფიქრა გორგამ, გადიგდო ნაბადი და ხანჯალამოღებული გაქანდა იქიკენ, საიდანაც ძაღლის ხმა მოისმოდა.

დასკვივლა და დაჰკვივლა გორგამ. მაგრამ სანამ ადგილს მივიდოდა, რაღაცამ გაჰკრა გვერდი და განზე გადაადგო...

— მგელია, უეჭველივ, — გაიფიქრა ელვისავით გორგამ და წამოვარდა ფეხზე. — ვაიმე, ცხვარო! — გაუელვა ფიქრმა და კივილით გამოქანდა ფარისაკენ.

აქ კი საშინელი სურათი დახვდა: შიგ შუა ფარაში დატრიალობდა მგელი; ღამის სიბნელეში ჩანდა მისი თეთრი კბილები, მისი მოელვარე ცეცხლიანი თვალები. ცხვარი დამფრთხალი გარბოდა აქეთ-იქით, მიწაზე ყელგამოლადრული ეყარა რამოდენიმე...

— ხვადია, ტიალი, სიმშილისგან თუ გაცოფებულა...

და გაქანდა პირდაპირ მგლისაკენ... მგელმაც იგროძნო მტრის მოახლოება და უცბად შეიტორა, ელვის სისწრაფით შეხტა მალლა, მაგრამ გორგამ არ დაჰკარგა სიმტკიცე, სისწრაფე, მარჯვედ მოიქნია ხანჯალი და გახტა განზე, მგლის კბილებმა კი მის სახესთან გაიკაპუნეს საშინლად...

მსწრაფლ მოიმარჯვა ხანჯალი გორგამ, ფეხი მოიმაგრა, იცოდა, რომ მგელი გაიმეორებდა იერიშს. ნეტავ ქურუხა რაღა იქნა, მოჰკლა ვერანმა, ალბათ...

და მალლა ჰაერში დაინახა მგლის ცეცხლიანი თვალები, თვალსა და თვალს შორის დაუჭირა ხანჯალი და მოიქნია ძაღლით. რაღაცამ გაიქახუნა და გულის სიღრმეში გაეხარდა გორგას: ეს მგლის თავი იყო უეჭველად და, მართლაც, ძირს რაღაც ფხოკნიდა მიწას.

— ცხვარი, ცხვარი, — უელავდა ფიქრი გორგას და ეცა აქეთ-იქით. ცხვრის საცოდავი ბღავილი კი მოისმოდა სხვადასხვა მხრიდან. ვინ იცის, რამდენი გადიღუბა კიდევ?

რა ჰქნას ამ საშინელ უჯიათ ღამეს მარტომ?

ქურუხა მაინც არ მოეკლა ტიალს? აგერ სადღაც კენესის და წკმუტუნებს საბრალოდ.

დაუბრინა, ჰკივის. აი, მოსხლეტილი ოციოდე ცხვარი მორეკა, ტაფობის ნაპირს მირეკა, კლდის ძირს...

მარცხნივ ბლავიან კიდევ თეთრად მაინც არ იყოს მიღამო: ცხვარი უფრო გამოჩნდებოდა.

ციცაბო ფერდობით წავიდა, ჯოხით იმაგრებს თავს, ლამის ჩასხლტეს და წავიდეს უფსკრულებისაკენ... ცხვარიც არ ემორჩილება, თავგზააბნეულია პირდაპირ.

აგერ მალლიდანაც ესმის ბლავილი, იქ როგორღა გავიდენ, ნეტავ?.. ჰფიქრობს და მიდის იქითკენ ფრთხილად: იცის გორგამ, რომ აქ მეტისმეტი ციცაბოა, ღღევ გაუჭირდება კაცს და ღამე მით უმეტეს...

დაუბერა, დაჰკვნესა ქარმა და თვალეში მიაყარა თოვლნარევი ხოშკაკალა.



გორგამ დაინახა ცხვრებში მგელი.

— შენ მაინც დადექ ამ ღამეს, — შეუტია თითქოს გორგამ ქარს და გადადგა ნაბიჯი. გადადგა, მაგრამ ნიადაგზე ველარ დააკარა. თითქოს მთა ფეხქვეშიდან გამოეცალაო, ისე წავიდა სადღაც ძირს, სიბნელეში...

ღამის სიბნელეში მოისმოდა უპატრონო ცხვრების ბლავილი, ქურუხას საცოდავი წკმუტუნნი.

### 3.

დილით აღრიანად ორწყალის თავზე უპატრონო ცხვარი გამოჩნდა, საცოდავად ისმოდა ბლავილი.

— გიგია, უპატრონოდ რასმეს ჩანს ცხორი, რაი ამბავია, ნეტავ?! გასძახა ალექსიმ გიგიას და გაჭკურცხლა მთისკენ. — ვნახავ, რა ამბავია!..

და მირბის ალექსი სერ-სერ, ვით ნაცადი ჯიხვი. ესეც თერთმეტ-ცამეტი წლის ბიჭია, მაგრამ მთის ყაიდა კარგად იცის...

დაჰხედა ცხვარს და ელდა ეცა... რამოდენიმეს სისხლი ჰქონდა მოცხებულიც.

— ვაიმე, გორგავ, ფათერაკ შეემთხვა, უეჭველად... — და გადმოდგა მთიდან, გიგიას გადმოსძახა...

— როსტომს ჩაურეკე ცხორი, უთხარ, გორგა, თუ დასხლტა სადმე, ცხორი დაფანტულია, მოაგროვეთ, ქურუხაც არ არის, ნადირი მისვლია, ალბაათ...

უკიოდა ზევიდან და მიჰხვდა რა, რომ გიგიამ გაიგო ამბავი, შეტრიალდა. ერთი კი გადმოსძახა კიდევ...

— გიგია! მე წავალ, ვეძებ, წამავიდენ სხონიც...

და გადაჰყვა იმ მხარეს, საიდანაც ცხვარი მოდიოდა... უგზოუკვლოდ ჩანდა ნავალი თოვლზე. ხან აქ გამოჩნდებოდა ეული ცხვარი საცოდავი ბლავილით და ხან იქ...

— ჰაუ, გორგავ, საით ხარ, ნეტავ?! — გაიფიქრებდა ალექსი და მოუმატებდა ნაბიჯს, მირბოდა ბინისაკენ. მიხვდა, რომ ღამე უნდა მომხდარიყო ფათერაკი. ცხვარს რამოდენიმეს სისხლი აჩნდა, ალბათ, მგელი მიუვიდა.

მზე საუცხოვოდ ანათებდა, და მის სხივებზე ელვარებდა თოვლის ფიფქები. თოვლი დნებოდა. „ტიალი თითქოს იმიტომ მოვიდა, რომ გორგა დაკარგულიყო“, — ფიქრობდა და მიდიოდა წინ.

და ჰხედავს ნაბინავარზე წუხანდელ ნაომარს. ბრძოლის ველია ნამდვილ. განზე ქურუხა კენესის, წინა ფეხები აქვს დამტვრეული და გდია მიწაზე, შორიახლო კი ხუთი ცხვარია ყელგამოლადრული და შუაში ვეებერთელა რუხი მგელი ჰგდია თავგაჩხილი...

რომ დახვდა ამას, შუბლი გაეხსნა, მოეწონა ამხანაგის და ტოლის ნამოქმედარი.

დრო კი აღარ დაჰკარგა, მიდგა-მოდგა. ერთ კვალს გაჰყვა; თოვლს გადგო და ნაკვალევი კარგად ჩანდა... სწრაფად შემობრუნდა: „უკანვე დაბრუნებულა“ — გაიფიქრა.

ახლა მეორეს გაჰყვა, უსიერ ფერდობზე გაიყვანა. უკვირდა ალექსის, აქ რა უნდოდაო. აი, შეწყდა კიდევ ნავალი. შე-

ჩერდა, ფრთხილად მიიხედ-მოიხედა, თვალი ჩააყოლა ფერდოს და ჰხედავს, რომ რამოდენიმე ადგილას ჩალარულია, თითქოს ზვავი მოწყვეტილა. გაეხარდა, კვალს მიაგნო უეჭველად. მაგრამ როგორ ჩავიდეს იქ?... ძნელია მეტად, იქნებ თვითონაც მოსწყდეს, მაგრამ ამხანაგი? ხელები დაუსისხლიანდა, ისე მიფრთხავდა შუა კლდეებზე, რამოდენიმეჯერ დასხლტა კიდევ, მაგრამ თავი შეიმაგრა.

„ვაჰმე, თუ პირდაპირ წყალში ჩავარდა, ვაჰმე, თუ მოკვდა კიდევ“... ფიქრობდა და ცრემლები ადგებოდა ნათელ ლურჯ თვალეებზე.



ალექსიმ ძლივს მიაგნო ხეში გორგა.

მაგრამ აგერ შავად, პირდაპირ ნაპირას, რა ჰგდია, ნეტავ?... ვაეჟანა ალექსი და ხედავს: გორგა გდია, თეთრ შუბლზე სისხლი ამჩნევია... გდია თვალეებდახუჭული...

— მომკვდარა! — ერთი კი ამოიგმინა და დაეცა პირქვე თავის ამხანავს...

ცრემლებმა ნელ-ნელ გადმოხეთქეს თვალიდან და ეცემიან გორგას თეთრ, სისხლით გადასერილ შუბლს... „ვაიმე, დაკარგული სიცოცხლე, ჩემო გორგავ“... მოსტკვამს უხმოდ ალექსი.

მაგრამ ეს რაა, რას ნიშნავს? გორგას ტუჩები თითქოს შეინძრენ და:

— არიქა, ქურუხააა!.. დაიხრიალა ოღნევასაგონად, სუსტად...

— ცოცხალია! — წამოიძახა... მეტი აღარც კი უფიქრია, გაუწვა გვერდით, მხარზე გადიგდო და ნელი ნაბიჯით გასწია ქვემოთ, მდინარის პირად, უფსკრულის ნაპირას რომ ბილიკი მიდიოდა. ფრთხილად მიჰქონდა ძვირფასი ტვირთი...

— ალექსიი! — ჩამოესმა ზევიდან, შედგა, სიხარულით კანკალი აუვარდა. ფრთხილად დადო ძირს გორგა და მთელი გულით შესძახა...

— აქეთ, ძირს, აქ არის, აააქ!..

მთაზე როსტომი და გიგია გამოჩნდნენ. ალექსი მიხვდა, რომ გორგა გადარჩენილი იყო: პაპა როსტომს ბევრი უარესად დაჭრილიც კი გადაურჩენია.

— სად ვარ... სად?... მოესმა სუსტი ხმა ალექსის...

— აქა ხარ, გორგა, ალექსასთან... და გახარებული დაეკონა მარჯვენა ხელზე. — შენი ხელის ქირიმე, გორგავ! და აკოცა, აკოცა ისე, ვით შეუძლია ეს თორმეტი წლის ბაღღს, რომელსაც მრავალი ქირი გადაჰხდენია თავს და რომელიც არაფერს ზოგავს ტოლის გადასარჩენად.

6. კაცხოველი.





## პიონერთა გარეშე.

დრახ, დრა  
 დრა,  
 დრა დრა  
 დრა,  
 ერთი, ორი!  
 ერთი, ორი!  
 ოქტობერი  
 ჩვენი მსრდელი.  
 მოვალთ,  
 მოგვაქვს გამარჯვება  
 ჩვენ ამ დღისთვის.  
 მშრომელთათვის—  
 ღსენა, შუება,  
 ძველ უოფისთვის—  
 დამარცხება.  
 ძირს დამხალი  
 ძველი ვრა.  
 ის სულს გვხდიდა,  
 ის გვტანჯავდა,  
 დაწვათ, მოვსაოთ  
 მისი კერა,  
 და მის ადგილს  
 სხვა ავაკოთ.  
 შონს,  
 განს ჩვენგან

შველა,  
 შველა,  
 ვის არ მოსწონს  
 ჩვენი ძღვერა!  
 გზა მოვუძვით!  
 ერთი ორი!  
 ბიჯი მწუბრბი!  
 მოვსრით,  
 მოვსრით (ვევა-ძღვერით,  
 მოგვაქვს დრომა,  
 დრომა (ვეცხლის,  
 მტრისთვის მწველი,  
 მოუერისთვის კი  
 ნუგემძვები,  
 დრომა  
 სისხლში ამოსურილი  
 ბეჭურჯურ ჩვენს  
 მამა-ძმების,  
 დრომა  
 ჩაურულთ სიყვარულის,  
 დრომა  
 მტკიცე ლენინისმის!  
 წინ, წინ!  
 ვაძა!  
 დრახ-დრა  
 და-რა.



ერთი, ორი!  
 „შხად ვართ“  
 მუღაპ,  
 უკვლავ ერთად  
 ოქტომბრისთვის  
 ვიქცეთ ფერფლად,  
 ვიქცეთ მსხვერზლად,  
 არ მივუცემთ კი  
 მტრებს სავლევად.  
 წინ, წინ!  
 მტკიცად, მუხრუველად.  
 დრობა მოკლე  
 დაუშვებლად.  
 მთელ ქვეყანას,  
 კიდით კიდეს  
 მოუვლებით  
 კეთილ თესლად,  
 ჩაგრულთ  
 მსხველად.  
 დაუტკეპთ, დაუფხრეწთ  
 ბფროტეებს,  
 მოვსწობთ შხამს და  
 მოვსწობთ ბნელსა.  
 მუხუსრულებთ

ილინს ანდერსს,  
 მაძებს—მიხანს,  
 დედებს ფიქსა,  
 შუქლი  
 წითელ ოქტომბერსა,  
 მთელი ქვეყნის  
 მსეთა-მსესა,  
 ვაზევიდებთ.  
 მთელს მშრომელ ხალხს,  
 ერთ დროდის  
 და ერთ ფიქრს ქვეშა.  
 მამ დაჭკარი  
 მაგ ბარბანს!  
 დრახ, დრა, დარა,  
 დადა, დადა,  
 ვამცნოთ უკვლას  
 მშრომელთ ღესება.  
 იმარსება  
 უკვლი უოვა  
 და ახალი ბეჭეფურჩქება.  
 ჩუხთან ერთად  
 ოქტომბერი  
 იძლება  
 და კვლავცდება.

კრიხელი.

## საქართველოს კომუნისტური ორგანიზაციის არსებობის 5 წელი.

ამა წლის 27 ნოემბერს შესრულდა ხუთი წელი მას შემდეგ, რაც კომკავშირმა, კომპარტიის სელმძღვანელობით, საფუძველი ჩაუყარა ბავშთა კომუნისტურ მოძრაობას საქართველოში. ხუთი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც თვალი აუხილა მრავალ ჩამორჩენილ ბავშვსა და კლესის შვილს, ჩააბა ისინი მშრომელი ხალხის მიერ მხატვრელების წინააღმდეგ წარმოებულ ბრძოლაში, შეასწავა და შეასწავლა რევოლუციონური აზროვნება და საქმიანობა და ამხიარად გახდა ისინი მსოფლიოში ზირველი პროლეტარული წესწესობილების უდიდესი მშენებლობის მონაწილე.

საქართველოს ზიონურთა ორგანიზაცია, რომელიც ბავშთათვის მოქმედებისა და უნარჩანობის გაღვივების საფუძველზე ვითარდება, 75.000-მდე ბავშვს აერთიანებს.

რა ზირობებში წარმოიშვა იგი, რა განსხვავებაა ზიონურთა და წინათ არსებულ სხვა ბურჟუაზიულ ბავშთა ორგანიზაციებს შორის?

ხუთი წლის წინ საქ. კომკავშირის უხდებოდა ბრძოლისა და ბუშობის წარმოება საქართველოს კანსტრუქციების შემდეგ დარჩენილ ბავშთა ბურჟუაზიულ („შეკარდენი“, „სკაუტი“ და სხვა) ორგანიზაციების მოსახლობლად და მათ ნაცვლად პროლეტარულ, კომუნისტურ ბავშთა ორგანიზაციის შესაქმნელად.

ბურჟუაზიული აღზრდის ერთ მთავარ ამოცანას წარმოადგენს ბავშვების ისეთი აღზრდა, რომლითაც ბავშვები გახდებიან კაპიტალისტების ინტერესების დამცველნი. ბავშვების ბატონობის დროს და მის შემდეგ ორი წლის განმავლობაში საქართველოში სწორედ ასეთი ბავშთა ბურჟუაზიული ორგანიზაციები იყო დამკვიდრებული. ამიტომ საქართველოში მშრომელთა დამყარება დაუოფნებელიც მოითხოვდა ამ ბავშთა ბურ-



ქუახიული ორგანიზაციის დაშლას. ამ ამოცანის გადაჭრა არც ისეთი ადვილი იყო განსაზღვრების ზირველ დღეებშივე. საქ. კომკავშირმა ზარტიან დაუღაღავეი მხრუნველობით და ხელმძღვანელობით შესძლო ბავშთა ეოველნაირი ბურჟუახიული ორგანიზაციის მოსზობა და 1922 წლის 23 ნოემბერს ხამობაუალიბა ზიონერთა ზირველი კოლექტივი (ტფილისში) „საზარტაკის“ სახელწოდებით.

ამის შემდეგ კახეთთან და ფრთები კაძელა ბავშთა კომუნისტურმა მოძრაობამ მთელ საქართველოში. დღეს არ მოიზოვება არცერთი კუთხე, რომ იქ არ არსებობდეს ნონს ზიონერთა კოლექტივი.

დღეს ზიონერ-ორგანიზაცია თავისი არსებობის ხუთი წლის თავს დღესასწაულობს.

კავშირჯოს ამ დღესასწაულს.

ზანი.



მოწადეები ოქტომბრის დღეს.

## როსა პირველად.

როცა ზირველად ასტეხეს  
რეკლუციის განკაში,  
მე მამინ დაუბადებულვარ  
სადღაც ნესტიან სარდაფში.

შველი ჩურებისა ნაკლუვი  
მე მინაცვლებდა აკუნსა,  
ფანჯრიდან შემოვარდნილი  
ქარი მეტეოდა ნანასა.

მამა ქუხაში მტრების წინ  
ატრიალებდა იარაღს,  
იბრძოდა და უნაყოფოდ  
ბრძოლებმა არ ჩაიარა,

და სამუდამოდ დაიძვინჯა  
მძიმე მონობის კარები,  
ქსე ამოვიდა ახალი  
სწიკების აელვარებით.

დღეს მხურად ვიძღვრთ შვილები  
სომხის, თათრის და ქართველის;  
მამათა მონაპოვარის  
ვართ მოძაფალი დამცველი.

მოგვაქვს წითელი დროშები,  
მოვდივართ, მოგვისარია,  
ჩვენი სამშობლო იქ არის,  
სადაც მშრომელთა მხარვა.

# მეგობრები

1. 23240

უცებ საღივ იელვა...  
ძივბსუ ღამისფერი ღრუბლები დაეცა და დაუშვა წვიმა.  
ჭალაში აბლაკლდენ ძროხები.  
ცხენებმა ძორთეს ჭიხინი...



გოია ავენსებს საღამურს.

ტორებაურილი კვიცები დედის გარშემო დასტოდენ...  
იქვე უფით დანბოდა წაბლისფერი ნაგასი, რომელიც უკ-  
კვლითის ენაგადმოკდებულა.  
ჯერჯერობით წვიმს ნელა და კუიაც ტომარგადსურული  
დგას და აკუნესებს საღამურს.  
კუნესა იუანტება ჭალაში, ასლო სოფლად.

დგას გუიან, მოკუბული ზირით უჭირავს სალამური და  
 იქვე, გვერდით, ნელა მიიხლანსება მდინარე ცი.

მას ასსოვს წყაღდილობა, როცა სოფელი თველათი წყალ-  
 ბი ცურაობდა...

ამღვრეულ წყალს მოჰქონდა ფიცრები, მორგები, ურმის  
 ბორბლები.

ბღავილით მოაქროლებდა ხაქებს, ხბოებს...

მას კმინია წყაღდილობის, რადგან მაშინ აბღავუდების  
 ცხოველები და წუთით ისეთი ხმაური იქნება, თითქოს ცა  
 ღრუბლიანად ჩამოინგრაო.

ახლა იმედოვნებს, რადგან ცა ისე ზირქუმად არ იეურება,  
 როგორც მაშინ...

ფიქრობს ასე, და ქარმა ფესებში გაინავარდა...

წავიდა მორს და ჩაფოთლილი ტყვეს ააძრიალა, აწეწა.

ტანთ ცივად გაბურჯოლა.

საშინელი ავდარი იქნება.

აიღო გრძელი მოღტი და ხაქონელი სოფლისაკენ გა-  
 მოდესა.

სოფლის დასაწყისში, რეინის კისის ხიდთან, ჰატარა მინ-  
 დორია.

მოდენა აქ და თვითონ ჩინარს მიეგრდნო.

სასე სიცვივისგან გაფითრებული აქვს და აღმოსავლეთით  
 ცაც ფითრისფერია.

დასავლეთის ქარს კი მოაქვს შავი ღრუბლები და ღრუბ-  
 ლებში რაღაც ჭექს, ქუსს და ელვა ნაომარი სმალივით ტყდება.

თუძვა გუიან რვა წლისაა, მაგრამ ასეთები ბევრჯერ უნა-  
 ხავს...

ბევრჯერ გაუვლია მარტოკას მუსლებამდე ატალახებული  
 თაზლინე...

გული თამაშია, მაგრამ სახე მინც ამღვრეული.

საღამური უბეში ჩაიღო და ჯოსზე დაერბობილი შვეუ-  
რებს ზეცას, რომელიც რისხვასავით დასწოლია ხუმ სოფელს...

გაიარა წუთებში და ძავი ღრუბლები თავზე დაადგა.  
წვიმს კოკისწირულად.

დაფეთებული კვიცი, გაწუწული გვერდში ამოუდგა...

აჭექდა, აჭექდა, და გუიას თვალთ დაუბნელდა.

ამ დროს ქონიდან გამოექანა ჰატარა ბავში კოკი. მივიდა, ხანა:  
ჩინარს ცეცხლი წაჭკიდებია...

ჩინართან ავდია გულწასული გუია.

იქვე: მკვდარი, მუცელგაბერილი კვიცი.

ცხოველები გაფანტული...



ავია მგლო მიწაზე გულწასული.

კოკის ცრუბლები წასკდა, სიტყვები ეელში გაეჩინონ და  
ენა ვერ ამოიღო.

ირველიც ინყდებოდა და არაუინ ჩანდა.

ბოლოს ძალა მოიკრიფა და დაიკვირა...

— დე... და!!! დე... და!!!

სცადა გუიას ხელში აეგანა, მაგრამ ვერ მოახერხა...

ქონიდან კოკის დედა კვიცილით მოწობდა.

ძას ეკონა, მის ბიჭიკოს შექმთხვა რაიმე უბედურება...

— რა იყო, შვილო! რა!

— ჩქარა, დედი! ჩქარა! — უვიროდა კოკი...

მან უხუნა გულწასული გუია.

მაშინ ორივემ აიუვანეს და ქონისკენ გაემართენ...

## 2. ძოხში.

კოკიმ სარკე მიიტანა და ტუჩებზე მიადო.

შემდეგ სარკეს დააკვირდა: გაორთქლილია.

— ცოცხალია, დედი, ცოცხალი! — აღტაცებით შესძახა კოკიმ დედაშის, რომელიც რღაცას ამზადებდა.  
 უწამლეს.

გავიდა რამოდენიმე წუთი, და კოკიმ ტილო გადაუწია.

გუიამ ხელა გაახილა თვალები.

ეს ქონი, ეს მიწა, ეს აუჯახი... როგორ!! საიდან!!

წამოჯდა.

თვალებს იფშენეტს...

მის წინ კი დგას მოდიმბრი სახით კოკი.

— სად ვარ?

— ნუ გეძინია, მეგობრის სახლში! — წასუხობს კოკი.

— დაწვი, მუილო, — მოისმა კუთხიდან კოკის დედის ხმა.

„მუილო!“ ასეთი სიტყვები მისთვის ხომ უჩვეულოა!

ასეთი სიტყვა იქ, მინ, მისთვის არავის არ უთქვამს.

იცის, რომ არც ეტყვიან...

მან იგრძნო მეგობრული სული...

სუდაუს: კოკის კისერზე წითელი ლენტე აქვს...

შუბლი გაეხსნა, თითქოს რღაც მოაგონდა.

— ეს მენ რათ გაქვს კისერზე? — ჰკითხა მორიდებით.

— მე ზიონური ვარ! შერე იცი, რა არის ზიონური!

— კი, ვიცი. მინახავს კიდევ მათი ღიმილი, მხიარულება, მეგობრობა. ერთხელ აქ იყავნ. უკრავდენ, მღეროდენ, დრომან აფრიალებდენ. მათ უკან დავდევი მთელი დღე. საჭმელიც მაჭამეს. ლექსიც შევისწავლე.

უკმაბრე გრიალებს... ბრძოლები იძლება,

მებრძოლნი, რიგებში! სადა ხართ?



ჩვენც, ზიონურნი, ქარხნების შვილები,  
 — შხად ვართ! შხად ვართ! შხად ვართ!  
 მამინ კოკი დედასთან მივიდა, ჩახურსულა და შეძგებ გუ-  
 იას მიუბრუნდა.

— მამა კეფს?

— არა!

— დედა?

— არა!



გზია და კოკი უცქერიან ტიპოგრაფიის ოფის დემონსტრაციას.

— მამ, ვინთან ცხიკობ?

— ნაცნობ ვაჭართან, მოსამსახურედ.

წუთით სინუქუ ჩამოკარდა და ამ სინუქუში ორი მეგობარი  
 თქალებით საუბრობდა.

— ოცი, რა კითხრა?

— ?!

— შენ ძალიან გიყვარს ის ვაჭარი?

— სამინდად მძულს და ვეუღვარ!

— მამ წამოხვალ ჩემთან!



— სად?

და აღტაცებით ჩამოებღაუჭა კოკის კისერზე.

— ქალაქი!

— წამოვალ... აქური არაფერი არ მინდა. მერე როდის?

— ამაღამ. შენ ნურაფერსაც ნუ იდარდებ...

ღამით ორ მეკობარს მატარებელი ქალაქისაკენ მიაქროლებდა, სადაც სდუღს სიცოცხლე, ახალი ცხოვრება.

### 3. ძალაძენი.

როცა მსუბ უკანასკნელი გორაკიც დასტოვა და ცაზე ოქროსფერი ნამურჯველივით გაეკრა, მატარებელი ქალაქის სადგურს მიუახლოვდა.

ასეთი რამ გუიას არ ენახა. რეინის გრძელი ბოძები... ძავთულის ღობეები... სადგურის შემდეგ შენობები... შენობები უსარმაზარი... ქარხნის მიღები... ავტოები... ვტლები...

ისენი შეხერდენ.

— ეს რა არის?

— ტრამვაი!

— რას ჰქვიათ ტრამვაი? რას მიჰყავს?

— ის მიჰყავს ელექტრონს! მერე იცი, რა არის ელექტრონი?

— კი ვიცი. სენაკში ვნახე ის მანქანები, რომელიც ელექტრონს იძლევა...

ისინი ტრამვაიში ჩასხდენ...

ამ დროს ზარის რეკით გაიბრინა წითელმა ავტომ, და ავტოზე ისხდენ მზისფერქუდიანები.

— ეს რა არის?

და თვალებით აედევნა უცხო კრიამულს.

— ცუცსლმქრობი რაზმი.

— მერე როგორ აქრობს?



კოკი უხსნის უოველივეს და ისიც, კმაყოფილი, ღიმილს ათავს.

მზე უკვე ფართოდ და ჰორდაჰირ ანათებდა, როცა ისინი მის მივიდნენ.

იქ გაეცნო მეზობელ ბავშვებს და მთელი დღე თამაშში და-  
აღაშა.

მეორე დღით გუია, კოკი და მისი ბიძა რუსთველის გა-  
მწირობე იდგნენ...

— დღეს ქიმიური ომი მოხდება!

— იმიტაცია!

ისმის სმება.

გუიას ვერ გაერკვია, თუ რას ჰქვია „ქიმიური ომი“.

— აძღენი საღისი მერე ვერე დამშვიდებით რათ სეირნობს,  
თუკი მართლა იქნება ომი?

— რატომ არ იძალებიან... ნეტავ ჰირველად სად დაიწ-  
კება ომი?...

ვერ გაერკვია ეს და უკვლახ სახეზე აკვირდებოდა... აბა,  
თუ იცინიან...

სახეარო საათის შემდეგ აბლაუღდნ საკვირები...

ჰაერში რაღაც სმარო კანისა.

ბროჯელური მინარევეს ჰაერს...

უმრავი თვალი მიჰქუება მას...

უკვლახი მას უცქერიან ასე დამშვიდებით...

მორს სადღაც სარბახნებიც აქუსდენ.

გამწირი ნისლისფერ ბოლშია განკუული და იქ ღანდები  
დასცურავენ.

მენტობის წინ წითელი ავტო დვას და შადრევანივით ის-  
ვრის წყალს.

— ის ავტო...

სახურავებზე ჯარისკაცებია და ტუვიისმურქუველს ესერი-  
ან ჰაეროაღანებს.

ისინი კი ჭერბან ქადაღდებს.

ავტოების, ეტლების, ტრამვაების მოძრაობა შექერბულია. დიდხანს გასტანა ასე და შემდეგ, როდესაც კამალი ცაღ ავიდა, ჭაეროპლანები სადღაც მიიძღვენ და ქუჩის ბოლოდან გამოსნდა ცხენოსანი ჯარი.

უუერებს უოველივე ამს კუია, ეშინია და თან უსარია... ასეთები მას სულ არ ენახა.

აი, ის წითელი ავტო მობრუნდა და კივილით გაქნდა.

— რა კარგია... სეტავ ზუნშიაც ასე იუოს...


მიქრის ავტო და მიაქროლებს შხისფერქუდიანებს...

ცხენოსანმა ჯარმა სულა ჩაიარა.

ამომრავდენ ავტოები, ეტლები, ტრამვაები.

ამომრავდა სალსი, და ამ ტალღას გაჭევა კუიაც, მადღაღ მენობებზე თვადღარჩენილი.

არჩილ ჩაჩიბაია.



## ზამთარი მოღის.

კესმით, როგორ გუგუხნებს ქარი ბუსარში და კაჭკაივის? სუდავთ, როგორი ბნელი ღრუბლებით იბურება ცა? სინესტკვა, ფანჯრები ტირის, იცრემლდება, დილაობით კი მინდორი გათეთრებულია რთვილით და სიცვი იკბინება. ეს ბუბრუყანა სამთორის გამოგზავნილი შიკრეებია, ატეობინებს ხალხს, დიდსა და ზატარა მხეციებს, ფრინველებს, ჭიადუას, ბუბუებს, ხელიკებს, გველებს, ხეებს და ბუჩქებს: „ჩქარა, ჩქარა მოვალ, დედამიწას ფაფუკი თოვლის საბანს გადაუფარებ და კარვა ხანს დავრჩები თქვენთან სტუმრად. ჩემ შვილს ეინვას გამოგვზავნი სამუშაოდ, ვუბრძანებ ფანჯრის მინებზე სხვადასხვა სურათი გამოხატოს, ფაფუკი ბუმბულითა და ბრჭყვიალა მძივებით მართოს ხეები და ქვეითად მოგზავნი აახელოს, რომ გზაში ნკლად სიარულით ტყუილ-უბრალოდ დრო არ დავარკვას“.

ვეკლანი თავისებურად ემსადებინს სამთორის შესანუჯდრად. ვინ სამხრეთისაკენ, თბილ ქვეყანაში ჩქარობს წასვლას, ვინ აქ რჩება და ემსადება ეინვას შუებრძოლოს, თავი დაახწიოს სიცვიებსა და შიმშილს.

ადამიანი შეძის იმსადებს, თბილ ტანისამოსს იკრძავს, თავის ბინას უოველის მხრით სურავს, რომ ეინვა არ შემოეღბროს; სამთორისთვის სანოვავეს იძარბებს.

ნადირი სამოსელს იცვლის, თბილით იძოსება, ემძაკი კურდული კი თეთრ ქურქს იმსადებს, რომ თოვლზე არ გამოხნდეს. ცივი ნაცარა კაბას იცვამს, ფულურობი საკმლის მარჯვს ეხიდება, ასე განსიჯეთ, სოკოებიც კი ვახნძო. ჰბი, ემძაკო ჭკვიანო ციუნია! დათვი კი დაწვება და მთელ სამთარს იძინებს.

ფრინველებიც, რომლებიც თბილ ქვეყნებში არ მოფრინავენ, თბილ სამოსელს იკეთებენ და ადამიანთან ახლოს ცხოვრობენ აწირებენ: უფრო მაძღარი იქნებიან.

ობობა! ობობამ ჰაეროვლანი გააკეთა თავისთვის, დაუცადა ქარს, გაძალა თავისი ქსელი და გაფრინდა ჰაერში. სომ კინახავთ შეპოდგომისე მსიან დღეში რამდენი ობობა მიფრინავს თავისი ქსელით, ედება ადამიანს სასესე, კაბასე... ეს ფეიქარი ობობის საფრენი ჰაეროვლანია, მიფრინავს და მიფრინავს, სანამ არ შეფრინდებიან სადმე ტყეში მოხერხებულ ადგილას და არ ჩამძაღვებიან ჩამოცვენილი ფოთლების გროვაში, ან სადხე სის ნასკდომში და მთელი ზამთრის განმავლობაში გაშეშებული წვანან გასაფხულამდე. მშვიდობით, ზატარა, ქამაცო მგსაურებო, მშვიდობით!

ბაუაუები, სვლიკები, გველები შეშურებიან ლამში, სავსში, სის ძირებში და ძინავთ მთელ ზამთარს; ძილის დროს კული მათ ძლივ-ძლივს უცემთ, სისხლი ნელა, ნელა მოძრაობს; თითქოს მკვდრები არიანო, ისე წვანან: ელიან მზეს, გასაფხულის სითბოს და წვიმას თბილს.

სეები? სეებმა გამოსარდეს თესლები, დაახნიეს დედაძიწაზე და ახლა ჩქარობენ გადააფარონ მათ გაუკითხვებული ფოთლები, ქარი კი სამინლად არსევს სესე შერხნილ ფოთლებს, თითქოს ესმარება სეებს, რომ დაახქაროს ფოთლის ჩამოკდება.

როდესაც ფოთლებს ჩამოჭრინან, სეები დვანან ტიტკლეები და ეინვა ვერას აკლებს მათ. მართალია, სეებზე დარჩენილია კოკრები, შიგნით ფოთლებია დახვეული, მაგრამ იმათ გაფარული ქერქი ასვევია და ისე კარგად არიან დამძლული, რომ ეინვა იმათ ვერ ჩასწვდება და ვერას ავნებს.


მარტო სამუებმა და ფიჭვებმა შერხინეს თავისი წიწვები, მაგრამ იმათ მოქნილ შროებს და მაგარ წიწვებს სრულიადც არ ეძინათ არც ეინვის, არც მძიმე თოვლის გროვების, რომლებსაც აურის მათ ზამთარი: სიმძიმე იმან ვერ გასტყს.

ბლანო? ზოგმა ღრმად ჩაუშვა მიწაში ძირები და გასაფხულამდე მიიღს მისცემის, ეინულს კი სახეგამოდ დაუტოვებს თავისი განმძღრი ღეროები. ზოგი კი დიდუბა, ძვრამ ბეჭერი თესლი დასტოვა თავის შემდეგ. თესვები მჭიდროდ მიკრუნს ერთმანეთს და კლიან, როდის გადააფარებს მათ თოვლის თბილ საბანს ზამთარი: ფაფუკი თოვლის საბანში ტკბილად გამოიძინებენ ზაფხუბი გასაფხულამდე და გასაფხულზე კი ამოძვრებიან მდლად ხარხი, შვანხე ბილილები.

ძინაური ცხოველებიც კი—კატა, მდლი—ისინიც კი სრუნავენ ზამთარსთვის, კაიზარდეს თავისთვის თბილი სქელა ბეჭვი და დიდებულად დადიან.

მობრძანდი ახლა, ზამთარო! ხევენ შხად ვართ შეგვეპოთ და ვიმხარულოთ კიდევაც: მარხილებიც გვაქვს, კლუსებიც, თოვლიანებს ვაიაბაძებთ, თოვლის კაცს გამოავერწავთ, სახშირის თვალებს ჩაუკვამთ, წარბებს შეუკვამბეთ, ცხვირს გაუკვამბეთ, ტუჩებს წითელი ქადაღდით გაუკვამბადეთ, ხელში ჯახს მივცემთ და თავსე უაბლანს დაუბხურავთ.

666.



ფერად-ფერადი ელნათურები შემოხვევია მუშათა სასახლეს. ქუჩაში გამვლელები უცქერენ, თუ როგორ ბრწყინავს ელექტრონების ნათურებით დაწერილი „10 ოქტომბერი“.

მუშათა სასახლის წინ აუარებელი ხალხი იყრის თავს...

პატარა პიონერები ღიმილით შესცქერაან სასახლის კედლებზე გაკრულ ალაკატებს. სასეირნოდ გამოსულ ხალხს ვერ იტყვს რუსთველის პროსპექტი.

ჯგუფ-ჯგუფად მოსეირნენი ქუჩებში დადიან და სიამით უცქერენ ელნათურების ქსელში აელვარებულ ტფილისს.

მრავალი მათგანი შედის მუშათა სასახლის დიდ დარბაზში სადაც საბჭოთა საქართველოს აღმშენებლობის გამოფენაა მოწყობილი.

— მამა, მამა, ჩვენც შევიდეთ იმ დარბაზში, ხედავ, რამდენი ხალხი შედის? — ეუბნებოდა პატარა პიონერი ვანო თავის მამას, როცა მიუახლოვდა მუშათა სასახლეს.

მამამ შეასრულა შვილის თხოვნა, ორივენი შევიდნენ გამოფენაზე.

— ეს რა არის, მამა? — შეეკითხა პიონერი ვანო.

— ეს მყინვარის ექსპედიციაა! — უპასუხა მამამ, — მყინვარი ყინულოვანი მწვერვალია; მას მთელი წლის განმავლობაში ქარი, თოვლი, ღრუბელი და ნისლეები უვლიან გარს; ზაფხულობით ყველა კუთხიდან მიდიან კვლევარები მყინვარწვერის გამოსაკვლევად. ასეთი ექსპედიციები წინათ ნაკლებად ხდებოდა!

— შეხედე, მამა, რა დიდი გოგრაა, ქრელი მსხლებია, უყურე, მამა რამოდენა ქარხალია!

— ეს ყველაფერი გლექთა ახალგაზრდობის სკოლის ბაღის ნაყოფია. — უპასუხა მამამ; — მეფის მთავრობისა და მენშევიკების დროს საქართველოში არ ყოფილა გლექთა ახალგაზრდობის სკოლა. ეს ერთ-ერთი საუკეთესო სკოლებია. მაშინ არაიან არ ზრუნავდა იმაზე, რომ გლექთა ახალგაზრდობას ცოდნა შეეძინა. საბჭოთა ხელისუფლებამ კი დიდი ყურადღება მიაქცია ამ საქმეს და ყველა ჩამორჩენილ სოფელში გახსნა გლექთა ახალგაზრდობის სკოლა.

ამ სკოლებში სწავლობენ ლარიბი გლექების შვილები.

— აი, ეს რა არის, მამა? — შეეკითხა ვანო, როცა მან შეხედა მესამე პაველიონს.

— ეს სასოფლო-სამეურნეო სასწავლებელის სურათია. ამ სასწავლებელში სწავლობენ, თუ როგორ უნდა საქონლის მოშენება, მცენარეულობის ჯიშის გაუმჯობესება, მიწის მოვლა-განაოყიერება და სხვ.

— ეს რა არის, მამა? — ისევ შეეკითხა პიონერი ვანო, როცა მან შეხედა ინდუსტრიალური ტექნიკუმის მოწაფეთა ნამუშევრებს.

— ეს მოწაფეთა ნამუშევრებია, შვილო. ტფილისში და საქართველოს მთელ რიგ ქალაქებში არსებობს ინდუსტრიალუ-



რი ტეხნიკუმები; იქ მოწაფეობა სწავლობს, თუ როგორ უნდა გაკეთდეს მატარებლები, ორთქლმავლები, ხიდები და სხვა. აქ გამოთენილი ხელსაწყოები და ნიმუშები თვით მოწაფეების შიერაა გაკეთებული. ისინი მომავალი ინჟინერები და ტეხნიკოსები არიან. საბჭოთა საქართველოს ძალიან ესაქიროება ასეთი ხალხი.

მათ კიდევ ბევრი ილაპარაკებს საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ გამოთენილ სურათებსა და ექსპონატებზე. ყოველი ახალი სურათის წინ ვანო სიხარულით ჩერდებოდა და შეკითხვებს აძლევდა მამას. უკანასკნელიც უხსნიდა მის შინაარსსა და დანიშნულებას. მრავალმა სურათმა მიიზიდა ვანოს ყურადღება, მაგრამ მას ისე არაფერი არ გახარებია, როგორც პარარა ხიდის მოდელი.

— რა პატარა ხილია, რა პატარა! ნეტავი ვის უნდა გაუძლოს ამან, — გაოცებით წარმოსთქვა მან, როცა შეხედა სოფ. მეტეხის ხიდის მოდელს.

— ამ ხიდზე არ დადიან, შვილო, — უთხრა მამამ, — ეს ხილი მოდელია იმ ხიდის, რომელიც საბჭოთა ხელისუფლებამ ააგო ს. მეტეხში. მისი სიგრძე ას ოცი მეტრია. წინათ გლუხები დიდ გაჭივრებას განიცდიდნენ უხილობის გამო. ქირნახულის მიზიდვა სახლებში მათ ძალიან უძნელდებოდათ სათანადო ხიდის უქონლობის გამო. საბჭოთა ხელისუფლებამ კი ამ ხიდის აგებით მათ გაუადვილა შრომა. მთავრობამ დიდი თანხა გაიღო ამ ხიდის ასაგებად. ამჟამად ის მზად არის.

საბჭოთა ხელისუფლება მუშებისა და გლეხებისთვის ძალიან ზრუნავს, შვილო. ეს გამოთენა გვიჩვენებს, თუ რა დიდი მიღწევები აქვს მას ოქტომბრის რევოლუციის 10 წლის თავზე. კიდევ გავა რამდენიმე წელი, და შენ გაიგებ იმ დიდი აღმშენებლობის მნიშვნელობას, რომელსაც ასე გულმოდგინედ აწარმოებს საბჭოთა კავშირი.

— მესმის, მამა, მესმის, — სიხარულით ავსებული გულით ეუბნებოდა ვანო.

— არ დაგავიწყდეს, რომ საბჭოთა ხელისუფლებას მრავალი მტერი ჰყავს, — განაგრძო მამამ, ისინი ეძებენ მოხერხებულ ღროს, რომ თავს დაგვესხან და განაადგურონ ჩვენი აღმშენებლობა.

— ვერა, ვერა, მამა, ვერ გაგვანადგურებენ, — წარმოსთქვა ვანომ, — მე გავიზრდები და მტერს შევებრძოლები, არავის არ დაჯანებებ მშრომელთა ქვეყნის აოხრებს, მუდამ ვებრძოლებ საბჭოთა ხელისუფლების დასაცავად.



# გაგზავნი სიმართლას

## მედილი ვარ.

მქედელი ვარ, მქედლის გული  
მიფანცქალეხს უბეშია,  
ვშრომელ ხალხის მომავალი  
ჩვენ ხელშია, ჩვენ ხელშია.

დაუბერე, ბიჭო, ქურას,  
დაუბერე, გაახურე!  
შჩაგვრელს ძირი აღმოვუფებრათ,  
ჩაგროლს წყალი მოასხურე.

დაჰკა კვერი გრდემლზე რკინას,  
დაჰკა, სქედე თოხ-ნამგალი,

რომ არ დარჩეს სოფლად გლეხის  
ზაფხულს ყანა მოუქალი.

აბა, მარდად ჩაჭურს ხელი,  
გახურებულს დისცხე რკინას!  
ვინც შრომაში სხვას ჩამორჩეს, —  
სირცხვილი და ვაი იმას!

აბა, ბიჭო, სწრაფად, მარდად,  
რჩეული დრო ჩვენს ხელშია;  
გამოეკედლოთ იარაღი,  
რაც გლეხს უნდა სოფელშია.

გიორგი შარუმაშვილი



## ათი წლის თავზე.

მოისპო ტანჯვა გლეხის, მუშების,  
მოისპო მათი უსახლგრო ტანჯვა!  
დამარცხებულმა ჯალათთა რაზმმა  
დროშის კალთებს ქვეშ დაიწყო ძრწოლა.

და დღეს კი ყველა ზეიმობს, ხარობს,  
ვარდ-ყვავილებით ირთვება ხალხი,  
ლაფერად ცის სიერცეს, მზით გაბრწყინებულს,  
მოშორდა გმინვა, მოშორდა თალხი.

ათი წელია მის შემდეგ, რაც რომ  
მეფის სასახლეს დაეშხვრა კლიტე,  
ოქტომბრის ჰიმნით გაბრწყინებული  
ტფილისი თითქმის ხალხს ველარ იტყეს.

შუშანა მგელაძე.

# რ ე ბ უ ს ი

(წარმოდგენილია ნიკოლოზ იოსებისძე სომხიშვილის მიერ).



“ ”



ლ



’  
ნ

(ქათმებს რო-  
გორ უძახიან)

„ ლხ

(მამაშენია შენ  
რა ხარ?)



“



(ერის ერთ-  
ერთი ნაწილი), ბ



, ის (შვილის შემდეგ)  
რა რიცხვია), „

ე „ ჰმ ,



უ



,



, ის

(დათვის შეილი  
ანუ)

), ა „



ბ



— 1927 წ. —

გ ა მ ო დ ის

საუმწეილო დასურათებული ჟურნალები:

მცირეწლოვ. „ნაკადული“ ყოველ-  
თვიური მე-XXIII წ.

მოსრდილ. „პიონერი“ ორკვი-  
რული II წ.

ხელისმომწერა მიიღება წლით და ნახევარი წლით.

}	გადაგზავნით	„ნაკადული“ — ერთი წლით — 3 მ. 50 კ.
		ნახევარი წლით — 2 მ.
		„პიონერი“ — ერთი წლით — 5 მ.
		ნახევარი წლით — 3 მ.

}	ცალკე ნომერი	„ნაკადული“ — 35 კაპ.
		„პიონერი“ — 25 კაპ.

მისამართი: ტფილისი, რუსთაველის გამზირი, № 23, სახელგამი (მესამე სართული). „ნაკადულის“ და „პიონერის“ რედაქცია. ელსმენი — 23-16.

რედაქტორი — სარედაქციო კოლეგია.  
გამომცემელი — სახელგამი.

